თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 24

„20“ აპრილი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარის ზაზა ზაზაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-26 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარის ზაზა ზაზაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარის ზაზა ზაზაშვილის**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

**გაწეული მუშაობის შესახებ**

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის №525 ბრძანების შესაბამისად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისია. 2014 წლის 2 აგვისტოს საკრებულოს გადაწყვეტილებით შექმნილ კომისიაში ჩვენთან ერთად არჩეულ იქნენ დეპუტატები: **ვასილ არაბული, ვანო გალახვარიძე,** გამგეობის იურუსტი **ამირი ბიწკინაშვილი**, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი **შალვა მინდიაშვილი.**

განვლილ საანგარიშო პერიოდში კომისიის სახელზე შემოსულია 352 განცხადება, თითოეული განცხადების განხილვის წინ ხდება კომისიის წევრების მიერ საკითხის ადგილზე შესწავლა. სულ ჩატარებული გვაქვს კომისიის 44 სხდომა. დადებითად გადაწყდა 289 განცხადება, ხოლო უარი ეთქვა 25 განმცხადებელს. დაკმაყოფილებულ განცხადებებს შორის 16 განცხადება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ეხებოდა, ხოლო 273 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ამავე პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული ღონისძიებების შედეგად შემოსულია 116 311 ლარი.

კომისია თავის მუშაობაში ძირითად წინააღმდეგობებს აწყდება კანონით გათვალისწინებული 2007 წლით განსაზღვრული ვადის გამო, რის გამოც შემდგომ წლებში დაფიქსირებულ მფლობებლებს ვერ ვაფიქსირებთ, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომისიის წევრებს და პირადად მე, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, მოვალეობის შესრულება ძირითადად გვიწევს ანაზღაურების გარეშე, რაც მუშაობაში სერიოზულ სიძნელეებს გვიქმნის.

კომისიის თავმჯდომარე ზაზა ზაზაშვილი